
**მწვანე ალტერნატივას შენიშვნები მდ. ჭოროხზე დაგეგმილი
ჰიდროელექტროსადგურების კასკადის პროექტის**

ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშზე

4 იანვარი, 2012 წელი

პროექტის აღწერა

თურქული კომპანია „აჭარ ენერჯი 2007“ გეგმავს მდ. ჭოროხის ბოლო 21 კმ-იან მონაკვეთზე 21 და 53 (ზ.დ.) ნიშნულებს შორის (ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის ტერიტორია) ჰიდროელექტროსადგურების კასკადის პროექტის განხორციელებას. პროექტი ითვალისწინებს 3-საფეხურიანი კალაპოტური ტიპის ჰესების კასკადის (კირნათი, ხელვაჩაური I და ხელვაჩაური II) მშენებლობასა და ექსპლუატაციას საერთო სიმძლავრით 105,7 მეგავატი.

პროექტის დაფინანსების საკითხი რომელიმე საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტის (მსოფლიო ბანკი, ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი, საერთაშორისო საფინანსო კორპორაცია და სხვა.) მიერ ჯერჯერობით არ არის ცნობილი. იმის გათვალისწინებით, რომ პროექტის ავტორების მიერ ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშში მოხსენიებულია აღნიშნული ბანკების გარემოსდაცვითი და სოციალური პოლიტიკები, შეიძლება დავასკვნათ, რომ პროექტის სპონსორები სერიოზულად განიხილავენ ერთი ან რამდენიმე ბანკიდან დაფინანსების მოპოვებას პროექტისათვის.

1. პროექტის საჭიროება

გაოცებას იწვევს გზშ ანგარიშის 4.2 თავი „არაქმედების ალტერნატივა (ნულოვანი)“ და მასში მოცემული დასკვნა, რომ „პროექტის განუხორციელებლობის შემთხვევაში გარემოზე მოსალოდნელი დაბალი ზემოქმედების თავიდან აცილების ხარჯზე, მოხდება რეგიონის ინფრასტრუქტურისა და სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის განვითარების გარკვეულწილად შეფერხება“, რის გამოც ეს ალტერნატივა უგულვებელყოფილ იქნა.

თვით გზშ ანგარიშში მოცემული და დახასიათებული ნეგატიური ბუნებრივ და სოციალური ზემოქმედებების გათვალისწინებით, გაურკვეველია ანგარიშის ავტორების მიერ გაკეთებული დასკვნა „პროექტის გარემოზე მოსალოდნელი დაბალი ზემოქმედების“ შესახებ, ვინაიდან გზშ ანგარიშში მოცემული საკითხები აშკარად საპირისპირო შინაარსისაა, მაგალითად, ზემოქმედება იხტიოფაუნაზე რომელშიც რამოდენიმე წითელ ნუსხაში შეტანილი სახეობა გვხვდება. გარდა ამისა პროექტის განხორციელება დააჩქარებს მიგრაციულ პროცესებს და სოფლების დაცლას, რაც საერთოდ არ არის შესწავლილი.

გაურკვეველია, რამდენი ადგილობრივი მუშახელი იქნება დასაქმებული, რა დამატებითი ხარჯების გაწევა მოუწევს სახელმწიფოს შავი ზღვის სანაპირო ზოლის დაცვის უზრუნველყოფისთვის, ამასთან პრაქტიკულად ვერანაირ სარგებელს სახელმწიფო ვერ მიიღებს გაყიდული ელექტროენერგიიდან (როიალტის ან ბონუსის არ არსებობის გამო), ხოლო ჰესისთვის საჭირო მიწის ფართობებს სახელმწიფო ინვესტორს პრაქტიკულად ჩუქნის.

აღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით მიგვაჩნია, რომ პროექტის არგანხორციელება იქნებოდა საუკეთესო ალტერნატივა ამ შემთხვევაში.

2. გარემოზე ზემოქმედება

2.1 ზემოქმედება შავი ზღვის სანაპირო ზოლზე

გზმ ანგარიშის 6.12 თავში განხილულია პროექტის ზემოქმედება შავი ზღვის სანაპირო ზოლზე. ანგარიშის თანახმად, 2015 წლისთვის თურქეთის ტერიტორიაზე დაგეგმილი ჰესების გამო 83%-ით შემცირდება ნატანის ტრანსპორტირება შავ ზღვაში მდ. ჭოროხის საშუალებით, შესაბამისად გაკეთებულია დაშვება, რომ დამატებითი კაშხლების მშენებლობა, რომელიც დაგეგმილია საქართველოს ტერიტორიაზე ვეღარ მოახდენს მნიშვნელოვან უარყოფით ზემოქმედებებს და სანაპიროს შენარჩუნების მიზნით, კვლავაც აუცილებელი იქნება ყოველწლიური ჩაყრების განხორციელება შავი ზღვის სანაპირო ზოლში.

იმავე ანგარიშის 3.2.5.4 თავში კი ნათქვამია, რომ მდ. მაჭახელასა და მდ. აჭარისწყალის პლაჟმემქმნელი ნატანის ჯამური მოცულობა შეადგენს **80,000მ³**, რაც პლაჟწარმომქმნელი ნატანის ბუნებრივად არსებული მდგომარეობის (მდ. ჭოროხის ჩათვლით) 20%-ია, შესაბამისად, საქართველოს ტერიტორიაზე დაგეგმილი ჰესების მშენებლობის შემთხვევაში პრაქტიკულად აღარც არსებული ნატანის ჩატანა აღარ მოხდება შავ ზღვაში, რაც კიდევ უფრო გაზრდის პირდაპირი და ირიბი ზემოქმედების მაჩვენებლებს შავი ზღვის სანაპიროზე.

აღსანიშნავია, რომ გზმ ანგარიშში საერთოდ არ არის ნახსენები 2007 წელს ჰოლანდიელი ექსპერტების (Dutch Commission) მიერ გაკეთებული რეკომენდაციები კოლექტიური გარემოზე ზემოქმედების შესწავლის ჩატარების შესახებ შავი ზღვის სანაპირო ზოლისთვის და კვლევის შედეგად გამოვლენილი მონაცემები. ერთ-ერთი რეკომენდაცია ამ კვლევაში იყო დროებითი ღონისძიების სახით ერთი წლის განმავლობაში ადლიის სანაპიროს 2000 მეტრის სიგრძის მონაკვეთზე 100,000 მ³ მოცულობის ჩაყრების განხორციელება, სანამ პრობლემის უფრო მდგრადი გადაწყვეტის მონახვა არ მოხდებოდა.

სამწუხაროდ აღნიშნულმა „დროებითმა“ ღონისძიებამ არამარტო რეგულარული სახე მიიღო, არამედ მოცემული გზმ ანგარიშის მიხედვით ეს ღონისძიებები მიჩნეულია საუკეთესო გამოსავლად შავი ზღვის სანაპირო ზოლის დაცვის უზრუნველყოფისათვის, ყოველგვარი

მწვანე ალტერნატივას შენიშვნები მდ. ჭოროხზე დაგეგმილი ჰიდროელექტროსადგურების კასკადის პროექტის ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშზე

დამატებითი შესწავლების ჩატარების გარეშე. შესაბამისად, მდ. ჭოროხის ორ მნიშვნელოვან შენაკადზე ისე დაიგეგმა ჰესების კასკადების მშენებლობები (ჭოროხის ჰესები, აჭარისწყლის ჰესების კასკადი, მაჭახელას კასკადი), რომ არ განსაზღვრულა ამ პროექტების გამო გაზრდილი უარყოფითი ზემოქმედებების მაჩვენებლები შავი ზღვის სანაპირო ზოლისთვის, რომელმაც შესაძლოა საერთოდ შეუძლებელი გახადოს სანაპირო ზოლის დაცვა, ვინაიდან აშკარაა, რომ მხოლოდ 100,000 მ³ შეტანა სანაპირო ზოლში აღარ იქნება საკმარისი მდ. მაჭახელასა და მდ. აჭარისწყლიდან ნატანის პრაქტიკულად შეწყვეტის გამო.

2.2 მდინარის სანიტარული ხარჯი

პროექტის გზმ დოკუმენტში სამწუხაროდ საერთოდ არ არის ნახსენები მდინარის სანიტარული ხარჯი. გზმ დოკუმენტის 259 გვერდზე, რომელიც ეხება პროექტის საჯარო განხილვის პერიოდში შემოსულ შენიშვნებსა და წინადადებებს, გარემოს დაცვის სამინისტროს მიერ გაკეთებულია შემდეგი სახის შენიშვნა, „უნდა დაზუსტდეს მდინარის სანიტარული ხარჯი, რომელიც საშუალო მრავალწლიურ ხარჯის 10%-თან იქნება შესაბამისობაში“. ამ შენიშვნაზე კონსულტანტები პასუხობენ, რომ „შენიშვნა გათვალისწინებულია“ და „ხარჯის მნიშვნელობა ამოღებულია ტექსტიდან“.

პირველ რიგში უცნობია, რატომ იქნა გარემოს დაცვის სამინისტროს მიერ შეთავაზებული წყლის სანიტარული ხარჯი 10% და არა მაგალითად, 5%, 15%, 30% ან მეტი.

არ არის დასაბუთებული ის, რომ საშუალო მრავალწლიური ხარჯის 10% საკმარისი იქნება ზოგადად, მდინარის ეკოსისტემისთვის და კერძოდ, მდინარე ჭოროხზე დამოკიდებული ფაუნისთვის, მათ შორის თევზებისთვის. არ არის ნათელი, ჩატარებულია თუ არა რაიმე კვლევა ამ საკითხზე და რა სტანდარტს ან გამოცდილებას ეყრდნობა გარემოს დაცვის სამინისტრო, როცა სთავაზობს ანგარიშის ავტორებს მდინარის სანიტარული ხარჯის საშუალო მრავალწლიურ ხარჯის 10%-თან შესაბამისობას.

მეორეს მხრივ, გაურკვეველია, როგორ არის ეს შენიშვნა გათვალისწინებული ანგარიშის ავტორების მიერ, თუ ხარჯის მნიშვნელობა საერთოდ ამოღებულია ტექსტიდან და არსად არის ნახსენებიც კი მდინარის სანიტარული ხარჯი ანგარიშში.

2.3 ზემოქმედება იხთიოფაუნაზე

შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ გარემოს დაცვის სამინისტრომ ჭოროხის ჰესების კასკადის პროექტის შემთხვევაში, იხელმძღვანელა მიდგომით, რომელიც გამოყენებულ იქნა ფარავანის ჰესის, დარიალის ჰესის და სხვა შემთხვევებში, როცა მისცა პროექტის ავტორებს მდინარის სანიტარულ ხარჯთან დაკავშირებით რჩევა (საშუალო მრავალწლიური ხარჯის 10%) და რომელსაც „ტენანტის მეთოდად“ (the Tenant method, also known as the Montana method) მოიხსენიებენ.

მწვანე ალტერნატივას შენიშვნები მდ. ჭოროხზე დაგეგმილი ჰიდროელექტროსადგურების კასკადის პროექტის ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშში

თუ ასეა, აქვე განვმარტავთ, რომ ტენანტის მეთოდი (1975 წ.) არის გამოსაყენებლად მარტივი და იაფი ჰიდროლოგიური შეფასების ინსტრუმენტი, რომელიც გარკვეული (დადგენილი და შესწავლილი!) ჰიდროლოგიური და ეკოლოგიური პარამეტრების/მონაცემების არსებობისას, შეიძლება კარგად იქნეს გამოყენებული მდინარის ბუნებრივი ჰიდროლოგიური რეჟიმის ცვლილების დასაშვები ფარგლების განსაზღვრისა და ამ ფარგლებში თევზების ჰაბიტატების მდგომარეობის შესაფასებლად (გარკვეულ რეგიონებში!). ქვემოთ მოყვანილია ცხრილი, რომელშიც ტენანტის მეთოდის გამოყენებით, ასახულია კორელაცია სხვადასხვა ოდენობის წყლის სანიტარულ ხარჯსა და თევზების ჰაბიტატების მდგომარეობას შორის.

ჰაბიტატების მდგომარეობა	სანიტარული ხარჯი (საშუალო მრავალწლიური ხარჯის პროცენტი)	
	მდინარის დინების რეჟიმები	
	წყალუხვობის პერიოდი	წყალმცირობის პერიოდი
განსაკუთრებულად კარგი	40%	60%
შესანიშნავი	30%	50%
კარგი	20%	40%
ცუდი ან დეგრადირებადი	10%	30%
ძალიან ცუდი	10%	10%
დეგრადირებადი	10%-ზე ნაკლები	

როგორც ცხრილიდან ჩანს, ტენანტის მეთოდის თანახმადაც კი (რომელსაც თავისთავად გააჩნია უამრავი ნაკლოვანება, როგორც შეფასების ინსტრუმენტს!), 10%-ის ოდენობის წყლის ეკოლოგიური ხარჯის შემთხვევაში, ჰაბიტატის მდგომარეობა იქნება „ცუდი ან მინიმალური“.

გზმ დოკუმენტის 6.8.8.4 თავში განხილულია შემარბილებელი ღონისძიებების სახით თევზსავალების მოწყობა, განსაკუთრებით შავი ზღვის ორაგულის სახეობისთვის, თუმცა იქვე აღნიშნულია, რომ „კირნათის კაშხლის ზედა ბიეფში არსებულ კაშხლებზე თევზგამტარი ნაგებობები არ არის მოწყობილი და გამომდინარე აქედან წყალშემკრები აუზის ფართობი მცირეა, ხოლო მდინარეს მნიშვნელოვანი შენაკადები არ გააჩნია. შესაბამისად საპროექტო კირნათის კაშხლის თევზგამტარის მუშაობის ეფექტურობა არ იქნება მაღალი.“ იხტიოფაუნის მდგომარეობას ამძიმებს მდინარეში დატოვებული მხოლოდ 10% სანიტარული ხარჯიც, რამაც შესაძლოა საერთოდ უფუნქციოდ დატოვოს მოწყობილი თევზსავალი.

პროექტში ასევე განხილულია „მხარდამჭერი სისტემის“ შექმნის შესაძლებლობაც, რაც გულისხმობს, 2-3 ხელოვნური აღწარმოების საწარმოების შექმნას შავი ზღვის ორაგულის

სახეობისთვის, იმ შემთხვევაში თუ თევზსავალების მონიტორინგმა გამოავლინა ამ ღონისძიების არაეფექტურობა. თუმცა დოკუმენტში მხოლოდ ზოგადად არის საუბარი აღწარმოების საწარმოების შექმნაზე.

გზმ ანგარიშის კუმულაციური ზემოქმედების თავში¹ ნათქვამია, რომ ასეთ საწარმოებს უნდა გააჩნდეთ კომერციული დანიშნულება, რათა ხარჯების დაფარვა მოხდეს საკუთარი შემოსავლებიდან. მიუხედავად ასეთი ჩანაწერისა გაუგებარია, რა ბედი ელის ამ საწარმოებს თუ ეს საწარმოები ვერ დაფარავენ საკუთარ ხარჯებს, გადაიხდის შენახვის ხარჯებსაც ინვესტორი, თუ უბრალოდ აღწარმოება შეწყდება ამ საწარმოებში?

ამას გარდა გზმ დოკუმენტში ძირითადად ყურადღება ექცევა მხოლოდ შავი ზღვის ორაგულს და მის შენარჩუნებასთან დაკავშირებულ შემარბილებელ ღონისძიებებს, თუმცა გზმ ანგარიშში არაფერი არის მოცემული, თუ რა გავლენა ექნება და რა შემარბილებელი ღონისძიებების გატარებაა საჭირო მდინარე ჭოროხში მობინადრე ნაკადულის კალმახის, კოლხური ხრამულისა და მდინარის იხტიოფაუნის სხვა სახეობების შენარჩუნებისთვის.

3. სოციალური ზემოქმედება

3.1 ზემოქმედება სოფლებზე

გზმ ანგარიშის თანახმად, პროექტის გამო წყლით დაიფარება 2,25 კვკმ მიწის ფართობი, აქედან სოფლების მახოს, ერგეს, აჭარისწყლის, მირვეთის, კირნათისა და მარადიდის მოსახლეობის კუთვნილი 181 ჰექტარი სასოფლო სამეურნეო სავარგულები და მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული სამოვრები და ტყის კორომები, რაც შეუძლებელს გახდის ამ ტერიტორიების გამოყენებას.

გზმ ანგარიშში ერთი სიტყვითაც კი არ არის ნახსენები რა ზემოქმედებას იქონიებს ამ სოფლებზე 181 ჰექტარი ფართობის სასოფლო სამეურნეო სავარგულებისა და სამოვრების დაკარგვა. იმის გათვალისწინებით რომ ამ სოფლების მაცხოვრებლების ძირითადი შემოსავლის წყაროს სოფლის მეურნეობა წარმოადგენს, პროექტის განხორციელების შემთხვევაში მოხდება აღნიშნული სოფლების დაცლა, რადგან ამ პროექტით შექმნილი სამუშაო ადგილები (საუკეთესო შემთხვევაში 90% ადგილობრივების დასაქმების პირობებში) ვერანაირად ვერ მოახდენს სოფლის მაცხოვრებლებისთვის დაკარგული შემოსავლების კომპენსაციას. იმის გათვალისწინებით რომ ეს სამუშაო ადგილები დროებითია უარყოფითი ზემოქმედება კიდევ უფრო თვალსაჩინო ხდება.

3.2 დასაქმება

¹ ბსგზმ ანგარიში;

გზმ ანგარიშის მიხედვით², თითოეული ჰესის მშენებლობაზე დასაქმდება 150 კაცი (3-3,5 წელი), ხოლო ექსპლუატაციის ეტაპზე 20 კაცი, რაც დადებითად აისახება ადგილობრივი მუშახელის დასაქმებაზე. სამწუხაროდ პროექტში საერთოდ არ არის ნახსენები, თუ რა ვალდებულება აქვს ინვესტორს აღებული ადგილობრივი მოსახლეობის დასაქმების კუთხით. როგორც სხვა პროექტების მაგალითები გვაჩვენებს, ადგილობრივი მოსახლეობა საქმდება ძირითადად დაბალ ანაზღაურებად ადგილებზე და ხშირ შემთხვევაში აღნიშნულ პოზიციებზე მოხვედრაც საკმაო სირთულეებთან არის ხოლმე დაკავშირებული მათთვის (მაგ. ფარავნის ჰესის პროექტზე ადგილობრივებს მუშის ადგილებზე უნივერსიტეტის დიპლომებს თხოვდნენ). შესაბამისად, ადგილობრივი მოსახლეობის დასაქმების შესაძლებლობა სხვა არაფერია, თუ არა ცრუ დაპირება და პროექტიდან მიღებული სარგებლის გადაჭარბებული შეფასება.

3.3 განსახლების სამოქმედო გეგმა

აღსანიშნავია, ის გარემოება, რომ პროექტის განმახორციელებელმა გარემოსდაცვითი ნებართვის მისაღებად ისე შეიტანა გზმ ანგარიში გარემოს დაცვის სამინისტროში, რომ არათუ განსახლების სამოქმედო გეგმა და განსახლების პრინციპებიც კი არ აქვს მომზადებული, სადაც დეტალურად იქნებოდა აღწერილი არამარტო საკუთრების კომპენსაციის საკითხები, არამედ საარსებო პირობების და სტანდარტების გაუმჯობესებისკენ მიმართული ეკონომიკური განსახლების საკითხებიც.

გაერო-ს ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების საერთაშორისო პაქტის თანახმად, რომელსაც საქართველო 1994 წელს მიუერთდა, „განსახლებისა და პროექტის ზეგავლენის ქვეშ მოქცეული აქტივების შეძენის დროს მთავარი პრინციპი უნდა იყოს პროექტის ზეგავლენის ქვეშ მოქცეული მოსახლეობისთვის სანაცვლო ღირებულების კომპენსაციის შეთავაზება, რაც გამოიანგარიშება როგორც აქტივების საბაზრო ღირებულებას დამატებული განსახლებისა და გარიგებების ხარჯები“.

გაერო-ს ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების კომიტეტი დიდი კამხლების პროექტების ადამიანის უფლებებზე ზეგავლენის საკითხს განიხილავს ზოგად კომენტარში N7 – „ადექვატური საცხოვრისი“ და ზოგად კომენტარში N15 – „უფლება წყალზე“. ორივე მათგანი პასუხობს პაქტის მე-11 მუხლს ცხოვრების ადეკვატურ სტანდარტზე. დამატებით, ადეკვატური საცხოვრისის სპეციალურმა რეპორტერმა, მილონ კოტარმა, შეიმუშავა განვითარების პროექტების გამო გადასახლებისა და გადაადგილების ძირითადი პრინციპები და სახელმძღვანელო წესები, რომელიც ასახავს ადეკვატური საცხოვრისის უფლებას, როგორც ადეკვატური საცხოვრებელი სტანდარტისა და დისკრიმინაციის დაუშვებლობის უფლებას ამ კონტექსტში (E.CN.4/2006/41).

² გზმ 6.14.2.6. „დასაქმება“

როგორც მსოფლიო ბანკის, ისე ერგბ-ს უსაფრთხოების პოლიტიკების თანახმად კი, განვითარების პროექტების გამო გადასახლებისა და გადაადგილების ძირითადი პრინციპებისა და სახელმძღვანელო წესების თანახმად, გადასახლებისას, ადამიანებს აქვთ უფლება უკეთეს ან მსგავს ალტერნატიულ მიწაზე და ადექვატურ საცხოვრისზე, რომელიც მოიცავს ცხოვრებისთვის აუცილებელი საშუალებების არსებობასაც (შრომის, ინფრასტრუქტურას და სხვა საშუალებები).

ამასთან, მიწისთვის კომპენსაცია უნდა იყოს პრიორიტეტი. გადასახლება არ უნდა დაიწყოს გადასახლების გეგმის მომზადებამდე, რომელიც სრულ შესაბამისობაში იქნება როგორც კომიტეტის მიერ დადგენილ პრინციპებთან, ისე საერთაშორისოდ აღიარებულ ადამიანის უფლებებთან, მათ შორის, დაზარალებული ჯგუფებისა და თემების უფლებასთან, გამოიყენონ სრული და წინასწარ ინფორმირებული თანხმობის უფლება (free, prior and informed consent) გადასახლებასთან დაკავშირებით.

4. დასკვნა

ხაზგასმით უნდა აღვნიშნოთ, რომ წარმოდგენილი სახით პროექტის დამტკიცება და განხორციელება გამოიწვევს როგორც რეგიონის სოფლების დაცლას, ასევე შეუქცევად ზიანს მიაყენებს შავი ზღვის სანაპირო ზოლს, რეგიონის ლანდშაფტურ და ბიოლოგიურ მრავალფეროვნებას. ამასთანავე, გამოიწვევს საქართველოს მიერ მრავალმხრივი საერთაშორისო ხელშეკრულებებით ნაკისრი ვალდებულებების, კერძოდ, ბიოლოგიური მრავალფეროვნების კონვენციის, ევროპის ლანდშაფტების კონვენციისა და ევროპის ველური ბუნებისა და ბუნებრივი ჰაბიტატების დაცვის კონვენციის უხეშ დარღვევას.